შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.
"ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა"
საპროექტო ექსპერტიზა. პროექტირება. მშენებლობა.

№17/214 17 დეკემბერი 2014 წ.

საექპერტო დასკვნა ქ.თბილისი, ანდრონიკაშვილის ქ№143, შპს "ჯავარდინის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.01.006.073) არსებული შენობის (№2/1) სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების მიზანშეწონილობის შესახებ

შპს "ჯავარდინის" მოთხოვნის საფუძველზე, ჩვენი სპეციალისტების მიერ ვიზუალური შემოწმება ჩაუტარდა ქ.თბილისი, ანდრონიკაშვილის ქ№143, შპს "ჯავარდინის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.01.006.073) არსებული შენობის (№2/1) სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების ტექნიკური შესაძლებლობას, რაც გამოიხატება მის ჰორიზონტალურ მზიდ ელემენტების გამოყენებაში მომიჯნავე ტერიტორიის გადახურვის მოწყობისთვის.

აღნიშნული შენობა სავარაუდოდ აშენებულია გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და წარმოადგენს სამრეწველო დანიშნულების ნაგებობას, რომლის გაბარიტული ზომებია – 26,60X18X60X6,25(h)მ. შენობის კონსტრუქციული ჩონჩხედი გადაწყვეტილია რკ/ბეტონის ანაკრები, ასეთი დანიშნულების ნაგებობისთვის ტიპიური კონსტრუქციებით. კერძოდ, ვერტიკალურ კაშირებს განაპირობებენ რკ/ბეტონის წერტილოვანი საძირკვლები და ანაკრები რკ/ბეტონის ორთაროიანი სვეტები განივი ბიჯით – 18,00მ. და გრძივი ბიჯი 6.00მ-ით, ხოლო ჰორიზონტალურს – სამრეწველო შენობებისთვის განკუთვნილი წამწეები და მათზე განთავსებული გადახურვის ანაკრები ფილები. კედლების შემავსებლებად გამოყენებულია ანაკრები საკედლე პანელები. შენობის ვიზუალურმა შემოწმებამ აჩვენა, რომ მისი საერთო ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ძირითად მზიდ კონსტრუქციებსა და მის შემადგენელ ელემენტებს არ გააჩნიათ დაზიანება საძირკვლის ჯდენისგან ან/და სხვა მექანიკური დატვირთვისგან.

მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს გადაწყვეტილი აქვს მიმდებარე ტერიტორიის გადახურვა, რაც საჭიროებს არსებული შენობის ერთი რიგის სვეტების თაროების გამოყენებას საპროექტო გადახურვის ჰორიზონტალური კოჭების (წამწეების) მოწყობითვის, ხოლო აღნიშნული

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: 238 12 95;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 032 238 12 95; email:g.chankvetadze@gmail.com

კოჭების (წამწეების) მეორე ბოლო დამაგრდება ტერიტორიაზე არსებულ, გრძივად განთავსებულ ანალოგიური ტიპის სვეტების თაროებზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ანდრონიკაშვილის ქ№143, შპს "ვაკავარდინის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.01.006.073) არსებული შენობის (№2/1) სარეკონსტრუქციო სამუშაოების, კერძოდ მისი მზიდი კონსტრუქციების გამოყენება საპროექტო გადახურვის ჰორიზონტალური წამწეების მოწყობისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია. ახალი კონსტრუქციის მოწყობა, არსებული შენობის მზიდუნარიანობასა და საიმედოობაზე უარყოფით გავლენას არ მოახდენს და წარმოდგენილ პროექტის განხორციელებას დადებით შეფასებას ვაძლევთ.

შ.პ.ს. "ოპტიმუსი"-ს

დირექტორი,

ინჟინერ-კონსტრუქტორი: გ.ჭანკვეტაძე

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: 238 12 95;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 032 238 12 95; email:g.chankvetadze@gmail.com